კიბერცნობიერების ტერმინოლოგიის მოკლე ლექსიკონი

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

წინამდებარე ლექსიკონი წარმოადგენს ცნობარს, რომელიც თანამედროვე კიბერტერმი-ლონოგიის ათვისებაში დაეხმარება ჩვენი საზოგადოების არაერთ სეგმენტს, პირველ რიგ-ში კი მშობლებსა და მასწავლებლებს. ციფრულ ეპოქაში საზოგადოების ამ მიმართულე-ბით ცნობიერების ამაღლება უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია მოზარდების უსაფრთხოების დაცვისათვის, მათი ჯანსაღი განვითარებისა და კეთილდღეობისათვის.

შენიშვნა: აღნიშნულ ლექსიკონში წითლად მონიშნულია განსაკუთრებულად ნიშანდობლივი და საფრთხისშემცველი ცნებების განმარტებები.

ავტორი

მარიკა სიხარულიძე

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელი;
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

რედაქტორი

მაია ნაკაშიძე

საბუნებისმეტყველო საგნების მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი;
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

აგრესორი: პირი, რომელიც დევნის და არასწორად/უსამართლოდ ექცევა დაზარალებულს, უსწორდება მას ფიზიკურად, ან აყენებს ფსიქოლოგიურ ზიანს.

აპლიკაცია (აპი), (ინგლ. App): წარმოადგენს ჩამოსატვირთ კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც განკუთვნილია კომპიუტერების, სმარტფონების, ტაბლეტების ან სხვა მოწყობილობებისთვის.

ახალბედა (ინგლ. Newbie): მომხმარებელი, რომელსაც ნაკლები გამოცდილება აქვს კონკრეტულ ციფრულ ან ვირტუალურ სივრცეში.

ბაისტენდერი (ინგლ. Bystander): სკოლაში, ონლაინსივრცეში, ან სხვა ადგილას დევნის მომსწრე ან მოწმე. ეს შეიძლება იყოს დაზარალებულის ან აგრესორის მეგობარი, თანაკლასელი, პედაგოგი ან სხვა პირი. ბაისტენდერი მომსწრეა დაშინების ფაქტის, რომელიც მოხდა სკოლის შიგნით, გარეთ ან ონლაინსივრცეში.

ბლოგერი: ნებისმიერი პირი, რომელიც დაკავებულია ბლოგის შექმნა-გამოქვეყნებით. იმ შემთხვევაში, თუ ბლოგერი კითხვადია და დიდი რაოდენობით გამომწერი ჰყავს, მას ეწოდება „ინფლუენსერი“ (ინგლ. გავლენის მატარებელი პირი). იხ. პუნქტი #45.

ბლოგერობა (ბლოგის წაყვანა): ნიშნავს ბლოგის წერას და მართვას (იხ. წინამდებარე ჩამონათვალის პუნქტი #8).

ბლოგი (ციფრული ჟურნალი): რეგულარულად განახლებადი ვებჟურნალი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სამიზნე მკითხველისთვის გარკვეული თემატიკის ირგვლივ. ციფრულ ჟურნალში ბლოგერი (იხ. #9) მოუთხრობს მკითხველს თავისი გამოცდილების, გრძნობების, მისწრაფებების, ან განზრახვების შესახებ.

ბოტი (ინტერნეტრობოტი) (ინგლ. Bot): ავტონომიური კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ადამიანის თვისებების იმიტაციას აკეთებს; იგი იყენებს ინსტრუმენტებს, რომელიც გასცემს ავტომატურ პასუხებს სტანდარტიზებული და განმეორებითი ფორმით. ბოტის გამოყენება ძირითადად ხდება ონლაინრეჟიმში კითხვებზე საპასუხოდ.

ბული (ინგლ. Bully): პირი, რომელიც ახორციელებს ბულინგს, დაშინებას ან დამცირებას.

ბულინგი (ინგლ. Bullying): მტრული და დამამცირებელი მოპყრობა, რომელსაც ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ახორციელებს მეორე ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფზე; შეიძლება იყოს როგორც სექსუალური ხასიათის, ასევე მორალური, ფიზიკური ან სხვა ტიპის ზეწოლა.

გამოძალვა (ინგლ. Extortion): ძალადობრივი ქცევა, ზეწოლა ან დაშინება, რომლის მეშვეობითაც მსხვერპლი იძულებულია განახორციელოს ისეთი ქმედებები, რომელიც მას ან სხვას ზიანს მიაყენებს.

განახლება (ინგლ. Update): ხარვეზების გამოსწორება ოპერაციულ სისტემაში მწყობრიდან გამოსული ან მოძველებული ვერსიების დასახვეწად.

გეიმერი (ინგლ. Gamer): პირი, რომელიც დროს ატარებს ვიდეოთამაშების სამყაროში და მეტწილად მონაწილეობს ქსელურ თამაშებში; განვითარებული აქვს მისიების დასახურად განკუთვნილი უნარ-ჩვევები, ერკვევა მათი შესრულების თავისებურებებსა და ხრიკებში; ხშირად აღნიშნული სფეროს ექსპერტია.

გეოლოკაცია (ინგლ. Geolocation): ობიექტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დასადგენად განკუთვნილი, ინტერნეტთან დაკავშირებული ხელსაწყო.

გრუმინგი (ინგლ. Grooming): მოზარდის ან არასრულწლოვნის დაყოლიება სექსუალურ ქმედებაზე ინტერნეტის მეშვეობით.

გუგლი (ინგლ. Google/google.com): პოპულარული ინტერნეტსაძიებო სისტემა.

დაბლოკვა: გარკვეულ ინფორმაციაზე, ელექტრონულ ფოსტაზე, ან სოციალურ ქსელზე წვდომის შეზღუდვა.

დატროლვა/ტროლინგი (ინგლ. Trolling): მომხმარებელთა მაპროვოცირებელი ან დამცინავი კომენტარების გამოქვეყნება სოციალურ ქსელში.

დაშიფრვა (ინგლ. Encryption): ინფორმაციის დაშიფრვა, რომელიც იცავს შინაარსს/ტექსტს არაავტორიზებული წვდომისაგან გასაღების და/ან ალგორითმის მეშვეობით.

დაჰაკვა/ჰაკირება (ინგლ. Hacking): არასამართლებრივი წვდომა/შესვლა კომპიუტერულ სისტემაში, ანუ ე.წ. კომპიუტერული დამცავი სისტემის გატეხვა. ტერმინი დაჰაკვა ან ჰაკირება აგრეთვე ვრცელდება იმ ადამიანზე, რომელიც არასამართლებრივი, უკანონო გზით ახდენს პროგრამის, ციფრული აუდიო- და ვიდეომასალის ან სხვა პროდუქციის კოპირებას.

დეშიფრაცია (ინგლ.Decryption): დაშიფრული ტექსტის თავდაპირველ მდგომარეობაში გადაყვანის პროცესი.

დიალოგის ისტორია (ინგლ. Thread): მომხმარებელთა ვირტუალური დიალოგისა ან მიმოწერის ისტორია ვებგვერდზე, ჩატში, სოციალურ ქსელში, ან ელექტრონულ ფოსტაზე.

დომენი (ინგლ. Domain): ქსელის იდენტიფიცირებისთვის განკუთვნილი უნიკალური სახელწოდება ან იარლიყი; დომენის სახელები წარმოქმნილია დომენის სახელების სისტემის წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დომენის მიტაცება: არასანქცირებული წვდომა დომენის კონფიგურაციაზე ინტერნეტში, რომლის მეშვეობითაც ხდება სხვადასხვა ავთენტურ გვერდებზე გადამისამართება.

დოქსინგი (ინგლ. Doxing): პირადი მონაცემების, ან საიდენტიფიკაციო ინფორმაციის გამოქვეყნება კონკრეტული ფიზიკური პირის შესახებ ინტერნეტში, როგორც წესი, უარყოფითი განზრახვით.

ემოციური ძალადობა: პირის ან ადამიანთა ჯგუფის სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამცირება, სოციალური მიუღებლობა, კრიტიკა ან დისკვალიფიკაცია.

ემოჯი (ინგლ. Emoji): ემოციების გამოსახულება, რომელიც გამოიხატება ასოთა კომბინაციით, რიცხვებით, სიმბოლოებით, ან ნიშნებით და გამოხატავს გრძნობებსა და/ან ემოციურ მდგომარეობას.

ვირუსული გავრცელება (ინგლ. Viral): ახალი ამბის ან ინფორმაციის სწრაფი პროპაგანდა ან გავრცელება, რაც ქმნის მაღალი დონის საკომუნიკაციო გავლენას.

თითის ანაბეჭდები (ინტერნეტის სლენგი), (ინგლ. Fingerprints): თითოეული მომხმარებლის მიერ ინტერნეტის საძიებო სისტემაში დატოვებული კვალი.

იმეილი (ელექტრონული ფოსტა), (ინგლ. Email): ელექტრონული საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება, რომელიც ვრცელდება ინტერნეტის საშუალებით.

ინსტაგრამი (ინგლ. Instagram/IG): სოციალური ქსელი, რომელიც შექმნილია ვიდეოების ან ფოტოების გასაზიარებლად. ინსტაგრამი იყენებს სხვადასხვა ეფექტებს, როგორიცაა ფილტრები, ჩარჩოები, ფერები და სხვა.

ინფლუენსერი/გავლენის მქონე პირი (ინგლ. Influencer): სოციალურ ქსელებში, ბლოგებსა და ფორუმებზე ცნობილი ინტერნეტმომხმარებელი, რომელსაც ბევრი გამომწერი ან მიმდევარი ჰყავს; ტრენდად აქცევს კონკრეტულ თემებს ან ინტერესებს ან, ზოგადად, პოპულარული და გაზიარებადია.

ისტ (ინგლ. ICT): ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აკრონიმი.

იუთუბერები (ინგლ. Youtubers): მომხმარებლები, რომლებიც იწერენ და ტვირთავენ ვიდეოებს იუთუბზე. მათი პოპულარობა დამოკიდებულია გავრცელებული ვიდეოების ნახვების რაოდენობაზე.

კიბერბულინგი (ინგლ. Cyberbullying): იგივე ონლაინბულინგი ან კიბერდევნა: ნიშნავს დაცინვას, შეურაცხყოფას, ადევნებას და სიტყვიერ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომელიც გარკვეული სიხშირით ხორციელდება ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით. კიბერბულინგის მსხვერპლი გახლავთ პირი ან პირთა ჯგუფი, რომელსაც ამცირებენ, აშანტაჟებენ ან აშინებენ ძალადობრივი სახის ციფრული შეტყობინებების, კომენტარების და / ან პირადი სახის არასათანადო, დამამცირებელი და / ან პირადული შინაარსის ვიდეოების, ფოტოების ან კომენტარების გავრცელებით სოციალურ ქსელში.

კიბერდეიტინგი (ინგლ. Cyberdating): ვირტუალური პაემანი ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით, რაც, როგორც წესი, უცნობ ადამიანებს ან იმ ადამიანებს შორის ხდება, რომელთა გაცნობაც ვირტუალურად მოხდა.

კონფიდენციალურობა: უფლება, რომელიც, როგორც წესი, გამოიყენება პერსონალური მონაცემების დასაცავად ნებისმიერი არაკანონიერი წვდომისაგან. კონფიდენციალურობა ინტერნეტში: ინტერნეტში მომხმარებლის ინფორმაციაზე კონტროლი.

კონფიდენციალურობის დარღვევა: დაზარალებულისაგან მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება, საიდუმლოების, გამოსახულებების გავრცელება, ინტიმური სახის ინფორმაციის გავრცელება მომხმარებლის კომპრომეტირების მიზნით.

ლითი (ინგლ. Leet): ინტერნეტსლენგი, რომლის გამოყენების დროსაც ხდება ასოების ჩანაცვლება რიცხვებითა და სიმბოლოებით (მაგალითად: Leet – L33t).

ლიურინგი (ინგლ. Luring – შეცდენა): მოზიდვა, შეცდენა ან დაყოლიება, რომელიც გულისხმობს ხრიკების მეშვეობით არასრულწლოვანთა სექსუალურ ქმედებაზე დაყოლიებას სრულწლოვანთა მიერ ონლაინკავშირის მეშვეობით.

მანიპულაცია: ინტერნეტის მეშვეობით, პოტენციური მსხვერპლისთვის ზიანის მიყენების მიზნით შეცვლილი, ან დამახინჯებული ინფორმაციის გავრცელება ან მოდიფიკაცია ინტერნეტმომხმარებლების შეცდომაში შესაყვანად.

მიმი (ინგლ. meme): გამოსახულება, ნახატი ან გიფი, დამატებული ტექსტზე კონკრეტული სიტუაციების, გრძნობების ან რეაქციის გამოსახატად; როგორც წესი, ატარებს იუმორისტულ ხასიათს. მისი გაზიარება მეტწილად ხდება სოციალური ქსელების მეშვეობით.

მონიშვნა/თეგირება (ინგლ. Tag/tagging): იარლიყის მიბმა, მონიშვნა სოციალურ მედიაში.

ონლაინგამოწვევა (ინგლ. Online challenge): ონლაინ-თამაში ან გამოწვევა, რომელიც შექმნილია სოლიდარობის გამოსახატავად, ზოგჯერ კი გართობის ან ზიანის მიყენების მიზნით; პოპულარობით გამოირჩევა სოციალურ ქსელებში (მაგალითად: გადაისხი ყინულიანი სათლი, დარიჩინის გამოწვევა და სხვა). შესაძლებელია იყოს ჯანმრთელობისათვის სახიფათო ან სასიკვდილოც კი.

ონლაინი (ინგლ. Online): ინტერნეტში ჩართული.

ოფლაინი (ინგლ. Offline): ინტერნეტიდან გამორთული.

პექი (ინგლ. Pack-პაკეტი): ინტიმური ფოტოების ან ვიდეოების კომპლექტი, რომელიც განთავსებულია ციფრულ ფორმატში.

პორტალი: ვებგვერდი, რომელიც სხვა ვებგვერდების ბმულების გაზიარების საშუალებას აძლევს მომხმარებელს.

სენსიტიური მონაცემები: პერსონალური მონაცემები, რომლებიც ეხება ადამიანის ფიზიკურ და ზნეობრივ მონაცემებს, მათ პირად ცხოვრებას, თვისებებს, რასობრივ წარმომავლობას, იდეოლოგიას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რწმენას ან რელიგიურ მრწამსს, ნასამართლეობის მონაცემებს, ფიზიკური ან მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სექსუალურ ორიენტაციას.

სესია: ერთეული, რომელიც აღნიშნავს კომპიუტერის, ან ინტერნეტის გამოყენების ერთ კონკრეტულ შემთხვევას.

სექსტინგი (ინგლ. Sexting): ეროტიკული ან პორნოგრაფიული შინაარსის შეტყობინებების ან აუდიოვიზუალური მასალის გაგზავნა ციფრული საშუალებებით; სექსტინგი ხშირად წინ უძღვის კიბერბულინგს.

სექსუალური გამოძალვა (ინგლ. Sextorsion): ფულის გამოძალვის, ან სექსუალურ მომსახურებაზე დაყოლიების ფორმა სექსუალური ქმედებების გამომჟღავნების მუქარის ქვეშ.

სთორი (ინგლ. Story): პოსტები ყოველდღიური აქტივობების შესახებ, ვიდეოები ან ფოტოები, დამატებული სოციალურ ქსელებში, როგორიცაა ფეისბუქი ან ინსტაგრამი, რომლებიც ქრება 24 საათის შემდგომ.

სოციალური ქსელი: ვებგვერდი ან აპლიკაცია, რომელიც ინტერნეტში აერთიანებს მომხმარებელთა ჯგუფებს (მეგობრებს, ნათესავებს, ნაცნობებს, თანამშრომლებს) მათი საერთო ინტერესების ირგვლივ.

სპამი (ინგლ. Spam): ინტერნეტის მეშვეობით მიღებული შეუსაბამო შეტყობინებები, როგორც წესი, გათვლილი დიდი რაოდენობით მომხმარებელთათვის; შესაძლებელია ატარებდეს საფრთხისშემცველ ინფორმაციას ან ვირუსებს, ან უბრალოდ ვრცელდებოდეს გარკვეული პროდუქციის რეკლამირების მიზნით.

სპიმი (ingl. Spim): სპამი, რომელიც ვრცელდება ჩატის მეშვეობით.

სტრიმინგი (ინგლ. Streaming): პირდაპირი ეთერის ფორმა, რომელიც ვრცელდება ინტერნეტის მეშვეობით.

ტროლი: მომხმარებელი, რომელიც სოციალურ ქსელში აქვეყნებს შეტყობინებებსა და კომენტარებს ბოროტი ან მაპროვოცირებელი განზრახვით.

უხილავი ვებსივრცე (ინგლ. Deep web): სხვადასხვა ვებგვერდების საცავი, რომელთა ჩვენება არ შეუძლია გუგლს და სხვა საძიებო სისტემებს, ვინაიდან, როგორც წესი, ისინი არღვევენ ინტერნეტის მოხმარების და ახალი ამბების კანონით დაწესებულ ნორმებს.

ფეისბუქი (ინგლ. Facebook): პოპულარული სოციალური ქსელი, რომელიც შექმნილია ადამიანების (მეგობრები, ნათესავები კოლეგები და სხვა) დასაკავშირებლად, სადაც მომხმარებელს შეუძლია გააზიაროს ინფორმაცია, ახალი ამბები, ფოტოები და ვიდეომასალა.

ფეისბუქის მესინჯერი (ინგლ. Facebook Messenger): ფეისბუქის სოციალური ქსელის შეტყობინებების აპლიკაცია; შემუშავებულია, როგორც ფეისბუქის ჩათი.

ფილტრი: ეფექტები, გაფერადების ან დაჩრდილვის ოფციები, დეფორმაციები და სხვა, რომლებსაც იყენებენ ფოტოებზე; როგორც წესი, ფილტრებს იყენებენ ინსტაგრამის, ფეისბუქის, სნეპჩეტის, ან სხვა სოციალური ქსელის აპლიკაციებისათვის.

ფიშინგი (ინგლ. Fishing): ციფრული თაღლითობა, როგორც წესი, განხორციელებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც გამოიხატება ყალბი შეთავაზებებით მომხმარებლის მოსატყუებლად, კონფიდენციალური ინფორმაციის გამოძალვის მიზნით, როგორიცაა, მაგალითად, საბანკო ანგარიშები, პაროლები და სხვა.

ფლეიმინგი (ინგლ Flaming): შეურაცხმყოფელი გამოთქმების ან ძალადობრივი ენის/შეტყობინებების გამოყენება ციფრულ სივრცეში.

ფორუმი (ინგლ. Forum): ვებგვერდი ან ვირტუალური სივრცე, რომლის გამოყენება ხდება მრავალი მომხმარებლის მიერ ონლაინდისკუსიისათვის ან იდეებისა და აზრების გასაცვლელად სხვადასხვა თემის ირგვლივ.

ქეთფიშინგი (ინგლ. Catfishing): ონლაინ ყალბი პროფილის ან მომხმარებლის შექმნა. ძირითადად გავრცელებულია სოციალურ ქსელში და ონლაინ გაცნობის ვებგვერდებზე, სადაც ადამიანები მალავენ პერსონალურ ინფორმაციას ან ირჩევენ ინკოგნიტოდ მოქმედებას.

შევიწროება (ინგლ. Harassment), ძალადობრივი დევნა: აგრესიული, განმეორებითი და გამაღიზიანებელი ქცევა, რაც იწვევს დისკომფორტს, ან აკნინებს ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის გრძნობებს.

ჩატი (ინგლ. Chat): ციფრული დიალოგისთვის, საუბრისთვის ან ინფორმაციის გაცვლისთვის განკუთვნილი პროგრამა ან აპლიკაცია, რომლის მეშვეობითაც აგრეთვე შესაძლებელია ვიდეოების, აუდიოფაილებისა და ფოტოების გაგზავნა.

ძალადობა: მოიცავს ყველა ფორმის ფიზიკურ ან გონებრივ ზიანსა და ექსპლოატაციას.

ჰაკერი (ინგლ.Hacker): პროგრამირების ექსპერტი, პროგრამული უზრუნველყოფის მანიპულაციისა და სხვა კომპიუტერული უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტი, რომელიც ფლობს კომპიუტერულ სისტემებში შეღწევის უნარებს, ხშირად მათში ცვლილებების შეტანის მიზნით. ჰაკერები იყოფა 3 ტიპის კატეგორიად: **ტიპი 1: თეთრქუდიანი ჰაკერები“ (ინგლ. White hat hackers)** – მათ მოტივაციას წარმოადგენს სისტემის უსაფრთხოების ხარვეზების მოძიება და პოვნა, ასევე ნაკლოვანებების აღმოჩენა და მფლობელი კომპანიებისათვის აღნიშნულის დაუყოვნებლივ შეტყობინება. **ტიპი 2:**

შავქუდიანი ჰაკერები (ინგლ. Black hat hackers) – იძიებენ კომპიუტერული სისტემების უსაფრთხოების ხარვეზებს და იყენებენ მათ თავიანთ სასარგებლოდ, კერძოდ: მოიპოვებენ მონაცემებს, პაროლებს და საკრედიტო ბარათების ნომრებს, წვდომის კოდებს, საბანკო რეკვიზიტებს და იღებენ ფინანსურ სარგებელს აღნიშნული ინფორმაციის მეშვეობით. **ტიპი 3: რუხქუდიანი ჰაკერები (ინგლ. Grey hat hackers)** – ეს უკანასკნელნი არიან თეთრსა და შავს შორის არსებული ჰაკერების ტიპი; ისინი იძიებენ და აღმოაჩენენ სისტემურ ნაკლოვანებებს, რათა გაყიდონ ინფორმაცია მათ შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ იღებენ რაიმე ტიპის სარგებელს აღნიშნული ინფორმაციით, მას საჯაროდ აქვეყნებენ მფლობელი კომპანიების საწინააღმდეგოდ.

ჰაშთაგი (ინგლ. Hashtag): საკვანძო სიტყვა, ფრაზა, ან ალფა- ციფრული სიმბოლოები, რომელიც გამოხატულია გაბმულად, სივრცის გამოტოვების გარეშე და აღნიშნულია # ნიშნით; გამოიყენება მეტწილად სოციალური მედიის ვებგვერდებზე და აპლიკაციებზე, განსაკუთრებით კი ტვიტერზე და ინსტაგრამზე, კონკრეტულ თემაზე შეტყობინებების იდენტიფიცირებისათვის.

ჰეითერები (ინგლ. Haters): ინტერნეტმომხარებლები, იგივე გამომწერები, რომლებიც სოციალურ ქსელებში, აპლიკაციებში, ან ჩატში ტოვებენ ნეგატიურ კომენტარებს გარკვეული თემების ან სხვა მომხმარებლების წინააღმდეგ.

ASK.FM: ვებგვერდი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მომხმარებელს, უცნობ ადამიანს დაუსვას ანონიმური სახის, მათ შორის, პირადული კითხვები.

ASL (ინგლ. Age, sex, location): აკრონიმი, რომელიც იშიფრება შემდეგნაირად: „ასაკი, სქესი, ადგილმდებარეობა“.

BADOO.COM: ონლაინგაცნობისთვის განკუთვნილი სოციალური ქსელი.

დიფამაცია (ინგლ. Denigration): პირის შესახებ უცენზურო, სასტიკი ან ცრუ ინფორმაციის გავრცელება-გამოქვეყნება.

KIK.COM: აპლიკაცია, რომელიც ტექსტური, ხმოვანი ან ფოტოშეტყობინებებისთვისაა განკუთვნილი.

LOL (ინგლ. Laughing out loud): აკრონიმი, რომელიც იშიფრება შემდეგნაირად: ხმამაღლა სიცილი, რომელიც გამოხატავს ემოციას ჩატის დროს, კომენტარებში, ან შეტყობინებების გაგზავნისას.

MATCH.COM: ონლაინგაცნობისათვის განკუთვნილი ვებგვერდი.

MMORPG (ინგლ. Massively Multiplayer Online Role Playing Game): აკრონიმი, რომელიც იშიფრება შემდეგნაირად: მასიური მრავალმომხმარებლიანი ონლაინ თამაშები.

PHEED.NET: სოციალური ქსელი, რომელიც აერთიანებს პოპულარული სოციალური ქსელების ყველა ფუნქციასა და მომსახურებას.

QOO.ME: Ask.fm-ის მსგავსი ვირტუალური სივრცე, სადაც მომხმარებელს შეუძლია დასვას ანონიმური შეკითხვები, რომელიც, როგორც წესი, შეურაცხმყოფელი და უხერხულია; ხშირად იქცევა მომხმარებელთა ბულინგის სარბიელად.

RAT BOY: ახალგაზრდა ან მოზარდი, რომელიც, მიუხედავად თავისი ასაკისა, უხეშობს და გამოირჩევა უცენზურობითა და მტრული დამოკიდებულებით ქსელური ვიდეოთამაშების თამაშის დროს.

- **RPG (ინგლ. Role Playing Game):** აკრონიმი ტერმინისა – როლური თამაში.
- **RSS:** ციფრული სივრცე, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, წვდომა იქონიოს ციფრულ ფორმატში გამოქვეყნებულ ინფორმაციასთან სტანდარტიზებულ, კითხვად ფორმატში.
- **SKYPE:** პროგრამა, რომელიც იძლევა ჩატის საშუალებას, აგრეთვე ფლობს ხმოვანი და ვიდეოკავშირის ოფციას. სკაიპის მეშვეობით შესაძლებელია იაფფასიანი ან უფასო ზარების განხორციელება ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერებსა და ფიქსირებულ სატელეფონო ქსელებს შორის.
- **SNAPCHAT (SNP):** მობილური აპლიკაცია და სოციალური ქსელი, რომლის მეშვეობით მულტიმედია საშუალებების დახმარებით მომხმარებლები გზავნიან და იღებენ გამოსახულებებს, ვიდეოებს და ფაქტიური გარემოების ამსახველ ფილტრაციის საშუალებებს.
- **SURFACE WEB/ღია ვებგვერდი:** World Wide Web/მსოფლიო ქსელის ნაწილი (იხ. პუნქტი #27), რომელიც ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის და მისი მოძიება შესაძლებელია სტანდარტული საძიებო სისტემების მეშვეობით; უხილავი ვების საპირისპირო ცნება.
- **TAGGED.COM:** ონლაინგაცნობისათვის განკუთვნილი სერვისი, ვებგვერდი.
- **TELEGRAM.ORG:** ჩატის აპლიკაცია.
- **THISCRUSH.COM:** სოციალური ქსელი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა Ask.fm-მა; პოპულარულია 12-დან 20 წლამდე მომხმარებლებს შორის; საშუალებას აძლევს მომხმარებელს ანონიმურად გამოაქვეყნოს ინფორმაცია.
- **TIKTO.COM:** აპლიკაცია, რომელიც საშუალებას აძლებს მომხმარებელს, ჩაწეროს და გაავრცელოს ვიდეო ან აუდიოფაილები.
- **TINDER.COM:** ონლაინგაცნობისათვის განკუთვნილი ვებგვერდი/აპლიკაცია.
- **TUMBLR.COM:** მიკრობლოგების პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს გამოაქვეყნოს ტექსტები, გამოსახულებები, ვიდეოები, ბმულები, ციტატები და აუდიომალები.
- **TWITTER (TWITTER.COM) (TW):** მიკრობლოგის აპლიკაცია, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, გამოაქვეყნოს ინფორმაცია ან მოსაზრებები მოკლე ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით (სიმბოლოების ლიმიტი განისაზღვრება 280 სიმბოლოთი).
- **VIBER:** ტექსტური შეტყობინებების გაგზავნისათვის განკუთვნილი ჩატი, აპლიკაცია, რომელიც ასევე ემსახურება ფოტო, ვიდეო და აუდიომასალის გავრცელებას.
- **VINE.CO:** აპლიკაცია, რომელიც ვიდეოს ჩაწერისა და სოციალურ ქსელებში გაზიარების საშუალებას აძლევს მომხმარებელს.
- **WHATSAPP (WP-WA-WSP):** შეტყობინებების გაგზავნის აპლიკაცია, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, გააგზავნოს და მიიღოს ტექსტური შეტყობინებები, აუდიომასალა, ფოტოები, ხმოვანი შეტყობინებები და სატელეფონო თუ ვიდეოზარები.
- **WWW (ინგლ. World Wide Web):** მსოფლიო ქსელის აკრონიმი: ინტერნეტი.
- **YOUTUBE.COM (YT):** ყველაზე ხშირად ნახვადი, პოპულარული პორტალი, რომელიც განკუთვნილია ვიდეოების გასაზიარებლად (მუსიკა, ფაილები, სასწავლო გაკვეთილები და სხვა).

Facebook
Skype
WhatsApp
Snapchat
Pinterest